ხუთშაბათი 1918 წ. მარტის,—(11) № 62 ხუთშაბათი 1918 წ. მარტის, 29—(11) № 62

ყოველდღიური გაზეთი ფასი 20 კაპ.

# ჩვენი ქვეყანა

რედაქცია.

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

კანტორა.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადება: თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 1 საათამდე 8 მ., 1 საათს შემდეგ 10 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ადრესი: Кутаисъ, поч, ящикъ № 39. ტელეფონი № 76.

# ერი იღუპება...

## სამშობლოს მტრები შემოესიენ...

### ოსმალებმა ბათომის დაცლა მოგვთხოვეს...

### მოქალაქენო ბრძოლის ველისკენ... დაიცავით თქვენი თვით არსებობა...

---

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი ანნა სვიმონის ასული ერისთვისა, ბესარიონ და ალექსანდრე სვიმონის ძენი საყვარელიძეები აუწყებენ ნათესავთ მეგობრებს და ნაცნობთ გარდაცვალებას, პირველი დაუვიწყარი მეუღლისას და მეორე და მესამე ძვირფასი სიძის,

**გიორგი ალექსანდრეს ძის ერისთავის**

რომლის გამოსვენება ს. საქარიდან ყვირილის რკინის გზის სადგურზე არის დანიშნული ხუთშაბათს, ოცდა ცხრა მარტს, დილის 8 საათზე. მიცვალებულს მიაცილებენ იმავე დღეს სადგ. რიონზედ და იქიდან იქნება წასვენებული ს. ზეინდარზედ, დაკრძალვა მოხდება ს. გორაში პარასკევს ოცდა ათს მარტს. 1—2

---

გულ დათუთქულნი დედა მარიამ მიხეილის ასული ჯინჯიხაძისა, დები ნადეჟდა, ქსენია, ნეონილა და ევა სპირდონის ასულნი, დისშვილი მარო კობახიძის ასული, სიძეები ივანე კონსტანტინეს ძე მდივანი, პლატონ ლუარსაბის ძე ჯაფარიძე და პოლიკარპე ვასილის ძე ნიშნიანიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასს,

**ნინა გრიგოლაშვილის**

უდროოთ გარდაცვალებას პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 6 1/2 საათზე. დასაფლავება მოხდება შაბათს 31 მარტს ნაშვადღევის 4 საათზე. გამოასვენებენ საკ. სახლიდან, ივანოვის ქუჩა. 1—2

---

უზომოთ დამწუხრებულნი: მეუღლე მაქსიმე ლუარსაბის ძე, ვაჟი მისი ბუხუტი, დედამთილი სეფორა ნიკოლოზის ასული, რძალი მარიამ (მაშო) ნიკიფორეს ასული შვილებით გრიგოლაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას,

**ნინას (ნინიჩკა)**

უდროოთ გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 1/2 საათზე. დასაფლავება შაბათს 31 მარტს, საღამოს 4 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე. გამოასვენებენ საკ. სახლიდან, ივანოვის ქუჩა. 1—2

---

ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ 26 მარტს გარდაიცვალა ქუთაისის რეალურ სასწავლებლის მეექვსე კლასის მოწაფე

**დავით |დათიკო| პლატონის ძე წერეთელი**

რასაც ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ გულ დათუთქულნი მშობლები პლატონ მელიტონის ძე და თეოდოსი პროკოპის ასული წერეთლები, და თამარა და ძმა ვარლამი. პანაშვიდი ყოველ დღე ნაშვადღევის 6 საათზე ივანოვის ქუჩა საკუთარი სახლი დაკრძალვა მოხდება 1 აპრილს, კვირას ნაშვადღევის 4 ნახევარ საათზე, ცალკე წერილები არ დარიგდება. (1—1)

---

დეკანოზები ნიკოლოზ და იოსებ, ილია ბეჟანის ძე მეუღლითურთ და ივანე ილიას ძე მეუღლითურთ წერეთლები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ უდროოდ მიცვალებული დაუვიწყარი ძმისწულისა, ბიძაშვილისა და ბიძის

**სერგო გიორგის ძე წერეთლის**

სულის მოსახსენებლათ **ს. ცხრუკვეთში** 1 აპრილს, კვირას, დილის 10 საათზე, გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი.

---

კვირას, აპრილის 2-ს, (ახ. სტილით 15) წმ. ნინოს სასწავლებელში დილის 11 საათზე, მოხდება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის ცენტრალური უბნის წევრთა

## საერთო კრება.

განსახილველია მეტად საჭირო და სასწრაფო საკითხები. დასწრება ყველა წევრისთვის **სავალდებულოა.**

**კომიტეტი.**

---

## ბრძოლისაკენ!..

განთიადზე კაცობრიობის აღორძინების ჟამს ბნელდება ჩვენთვის!.. დადგა წუთები დაგმობისა, შერცხვენისა მამულის გაპარტახებისა, ერის დამონებისა!..

ჯოჯოხეთის ეშმაკებსავით შემოგვეხვიენ შავი მტრები... ოსმალომ ბათომის დაცლა გვიბრძანა, რუსი, სომეხი ოსი და ლეკი შეხმატკბილებული ჩვენს წინააღმდეგ დაიძრა... ბათომში შემოსული მტერი სულ მალე ქუთაისში გვესტუმრება!... ხელახლა გვეშლება ქართლის ცხოვრების ტრაგიული სურათები, მომენტმა ივერიის წარსული გააცოცხლა... მტერი აურაცხელია;... თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ამ დროს ამისთვის სასწრაფოდ გადავიკითხოთ ქართლის გმირების დღიური... ის გვეუბნება... ბრძოლისკენ გმირნო, ქართველო ერო დაუმტკიცე ყველას, რომ სიცოცხლე გწყურია, მონობას არ ხარ ჩვეული... დაე დავსწყდეთ უთანასწორო ბრძოლაში, მაგრამ მოვკვდეთ ლამაზის სიკვდილით, უკეთეს მამულიშვილთა ანდერძისამებრ.

---

## იყიდება

ქალაქ ქუთაისში, ბალახვანისა და თბილისის ქუჩების შუა მდებარე დიდი მამული. მყიდველთ ვთხოვთ მიმართონ თბილისის სამადგილ-მამულო ბანკის აგენტს ნესტორ ანტონის ძეს ფურცელაძეს, გეგუთის ქუჩაზე, რაჟდენ ბუაძის სახლში, ქართული გიმნაზიის გვერდში.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტობის აბსოლიუტური უმრავლესობის ჯარში ჩაწერის გამო, მუშაობს ეროვ. დემ. პარტ. სტუდენტთა ორგანიზაციაში მუშაობას შეწყვეტილად ვაცხადებ.

ორგანიზ. თავმჯდომარე: **ბიკ. აბესაძე.**

---

ადუღდეს ეროვნული სისხლით სალკლდესავით შეკავშირდეს საქართველო და მაშინ გამარჯვებაც ჩვენთან არის... ბრძოლის ველზე ყოველთვის პატარა რაზმი იმარჯვებს, მაგრამ რაზმი, რომელიც თავგანწირულია, ერთი მრწამსით აღგზნებულია... ახალ გაზრდებო ქვეყნის სამსახურისკენ... მოხუცნო, დედებო ცოლებო და შვილებო სამეურნეო მუშაობისკენ... დაე აღყნთენ ქართველი გმირები!.. აპრიალდეს ხმალი სამართლიანობისთვის და თავის უფლებისთვის იჭექოს ზარბაზნებმა... განვემზადოთ თავ გასაწირად... შეიძლება განგებამ მოგვხედოს, ვიხსნათ ერი... თუ არა და დავსწყდეთ, მომავალ თაობას დაუტოვოთ ანდერძი, თუ როგორ ვიბრძოლეთ ჩვენ ურიცხვ მტერთან!.. ცოცხალ მკვდარია ერი, რომელსაც არ აქვს გმირული წარსული... საქართველოს აწმყო ცუდია, უარესი იქნება მომავალი თუ ჩვენი ხელით არ გამოვჭედეთ ბედი ჩვენი... ერო ბრძოლისკენ!.. ქართველო ხალხო თავდადებისკენ...

**ი. დიდიძე**

---

# გვიშველეთ!

გადაკეტეთ კარები და გარეთ გამოდით ყველა. არ გესმით? მიშველეთ—გაიძახის მტერთან საომრათ გაჭრილი ულონო ბალღი. არ ყურობთ?—უშველეთ—გაიძახის სახე დასისხლიანებული უბედური დედა ბავშისა, და თმებს იგლეჯს, როცა გხედავთ თქვენ მოზრდილნო! მწარეთ მოსთქვამს მთელი საქართველო თვის უბედურებას და თქვენ ვაჟკაცნო რას აკეთებთ ამ დროს? იღუპება საქართველო, ისპობა ქართველი ერი და იცოდეთ ყველამ. იხრათ დაგრჩებათ ყოველივე პირადული სამშობლოს არა მქონეთ. ვერ გიშველით ვერც ბალის კიდეში სიარული და ულვაშების წკეპნა, ვერც „საბუნჩის“ ძახილი, ვერც სოც.-დემოკრატები, ვერც ს. ფედერალისტები, ვერც ეროვნულ-დემოკრატები და ვერც ვერაფერი. იცოდეთ რომ თუ საქართველო დაიღუპა, მაზედ მტარვალნო შვილნო სიკვდილის ფასს პირველად ჯავრს თქვენზე იყრიან თქვენზე, საქართველოს გვრებო! დროა გონს მოხვიდეთ. არც ეხლა გჯერათ, რომ მტერი კარს მოგვადგა და უკვე გაისმის უკანასკნელის თოფ-ზარბაზნების გრიალი. გაიგეთ რომ არავინა გყავთ მშველელი, ყველა თავის თავს დაეპატრონა. გაიგეთ რომ მარტო მარტონი ხართ. იგრძენით, რომ თავში გირტყამენ და გამოდით გარეთ. წმინდა სიკვდილით მაინც გამოისყიდეთ თქვენი შეცოდება სამშობლოს წინაშე და თუ ჩვენს უბედურ მხარეს სიკვდილი არ ასცდება ღირსეული შავი დროშებით მაინც მოვრთოთ ის, რათა მტერმაცა სთქვას, რომ აქ ქვეყანას ჰყოლია ქირისუფალიო და მაზე ცრემლებიც დაუღვრიათო. უკუაგდეთ ყოველივე პირადული და შეეწირეთ მსხვერპლად უბედურ საქართველოს. განზე გადასდევით ყოველივე პარტიული და გახსოვდეთ რომ ერთად ერთი პარტია დღეს მწარედ მტირალი საქართველოა, რომლის არსებობა ოდესღაც მომავალში შესაძლებელია მხოლოდ ნანგრევებმა გვამცნოს. ამ სტრიქონების დამწერი ეროვნულ-დემოკრატია, მაგრამ ის წიხლს დაჰკრავს მას, თუ კი ამას მოითხოვს სამშობლოს ბედნიერება. და ამას ითხოვს დღეს ის. დღეს ვისაცა სწამს საქართველოს არსებობა, მისთვის აღარ სუფევს პარტია. 30 საუკუნე ჰკიდია ზურგზე ჩვენ საქართველოს და ამ ხნის განმავლობაში მან შესძლო ეარსებნა ქართველური სახით და ნუ თუ ისტორიის ფიცარზე მეოცე საუკუნეში უნდა დაესოს მას შავი ჯვარი. ნუ იქთ ამას. არყით გალეშილთ ძლივს გამოვგლიჯეთ ხელიდან და ნუ გადაუგდებთ საჯიჯგნათ ახალ ბარბაროსებს! ამხედრდით ქართველებო! ყველამ, ვისაც კი მკლავი გვიჭრის, ყველა გავექანოთ ბრძოლის ველისაკენ. გრწამდეთ რომ თუ კი გარს შემოვერტყით საქართველოს მას ვერავინ დაგვიჩაგრავს. არავინ დასტოვოთ სახლში ყველა, ყველა, და ყველა იქ, იქ, ბრძოლის ველზე გავემართოთ. მაშ გადავხვიოთ ხელი ხელს ძმებო, მივიდეთ დედასთან, მივიდეთ ლოცვა კურთხევით და გავფრინდეთ ძმების საშველად. იქ შემოვძახოთ ძველებურად და ავაგუგუნოთ თოფ-ზარბაზანი. იცოდეთ რომ ეს დღეს უნდა ვქნათ. ხვალ გვიან იქნება. მაშ შევსძახოთ მტერს: გზა, გზა, მოდის ქართველი ერი, რომელიმც შეჰფიცა ერთი მეორეს ან დაიხოცებიან ყველანი ბრძოლის ველზე, ან გაიმარჯვებენ და დამოუკიდებელ საქართველოს დროშას გადმოკიდებენ ჩვენს ციხე-კოშკებზე.

**ილ. ელენტი.**

---

# რაჭის მაზრის კონფერენციისათვის.

ტრაღიკულ მომენტში გიხდებათ რაჭველო თანამოაზრენო პარტიულ კონფერენციის მოწვევა... სათაყვანებელი ერი რომელიც სათაყვანებელი მცნებაა, ქვაკუთხედია ეროვნულ დემოკრატიისა უკიდურეს განსაცდელშია. გამოისხანდაცა... ეროვნულ დემოკრატიის მრწამსი თქვენთვის ცნობილია... კეთილდღეობა სრულიად ქართველი ერისა... სახელმწიფური და ეროვნული არსებობის დამყარება განმტკიცება... მაგრამ დღეს ირგვლივ მტრები შემოგვესიენ... ოსმალო ბათომს გვართმევს, რუსი სომეხი და ლეკი თბილისისკენ დაიძრა ამ დროს თქვენი მოვალეობაა ხალხის მტრის წინააღმდეგ აჯანყება, ხალხის თავდაცვისთვის მომზადება უდიდეს საფრთხეზე ხალხის შეზფოთება... ახლა გვჭირია შეკავშირება, ძალთა მოკრება, ვინაიდან ერს დაღუპვა მოელის...

პროვინციებში უნდა ჩამოირეკოს სამგლოვიაროთ და ხალხი ბრძოლის ველისკენ გაეშუროს... მშვიდობიანობის მოსურნე ქართველ ერს არ ასვენებენ სახლში მოუხტენ... მომხდურს კი დამხდური უნდა... თქვენ იცით როგორი სიბრძნით მოიქცევით... ამცნობთ საქართველოს ყოველ კუთხეს... შავი დღეების მოახლოვებას...

**ი. იმერელი.**

---

# სამშობლოს!

განკვეთილი სხეული შენი ნუღამც უხილავს შენს შვილთა გმირულათ დახუჭულ თვალებს. მტერს შევაწყდებით და არ მივსცემთ ნებას სჯიჯგნოს შენი ზურმუხტოვანი მკერდი. ახალგაზდური გული სავსეა შენდამი უსაზღვრო სიყვარულით. იგი მიეგებება მტრის მახვილს და წმინდა სისხლთა მჩქეფარებით მოგირწყავს ხავერდოვან გულს. ჩვენი ხმალი აილესება მამაპაპური სიმამაცით და მტრის ლაშქარს ზღუდეთ აღემართვის მთელის სიძლიერით. უსაზღვრო ურღვევი წამება შენი. უკვე მოვალეობის წინაშე ვდგევართ. ვიწვით ბრძოლის სურვილით და ველოდებით წამებით სიკვდილს. ჩვენი ძვლებით მოვკენჭავთ შენს მთა-ბარს, ჩვენის გულებით შევაკვდებით მტრის ძალს ჩვენის თვალებით შევანელებთ მტრის მრისხანებას და ჩვენთვის ძვირფას საქართველოსთვის საამაყოთ დავიმარხებით ბრძოლის ყიჟინში. არას დავთმობთ. ლაჩრობას ვერვინ დაგვწამებს, უკან დახეულს ვერვინ გვიხილავს, მოვალეობის მოხდით დავიხოცებით. გვინდა რომ, იყო თავისუფალი, გვინდა, რომ დაჟანგებული ბორკილი სამუდამოთ დაიმსხვრეს. გვინდა, რომ თამარის ხამფლობელოში ლიმაზათ ენთებოდეს მზე სიყვარულის და თავისუფლებისა.

**ლადო მაჭავარიანი**

---

# ჩემო სამშობლოვ!..

სამშობლოვ ჩემო!.

იქნებ ეს სიტყვა უკანასკნელ სტრიქონებად იქცეს, უკანასკნელ ამონაკვნესად.

უკანასკნელი ამოკვნესა!..

უკანასკნელი სიტყვა!..

ვის განუცდია თუ რა სევდით აღსავსე უნდა იყვეს უკანასკნელი ამოკვნესა სულთმობრძავისა!..

ვის განუცდია თუ რა წამებითა და კვნესით უნდა აღმოხდეს მას თითოეული ასო უკანასკნელი თითოეული სიტყვისა!..

არავის.

და ვისაც განუცდია, სამშობლოვ ჩემო, ის განშორებია ცხოვრების დასისხლიანებულ ფარდას.

მისი ვარსკვლავი მოსწყვეტია მნათობთა მტევანს.

მის ოცნებას ფრთა შეკვეცია და ნელ სიოს მიუბნევია, ვით მტვერი ატმის ყვავილებისა.

მისი ხსოვნა მხოლოდ ლოდებს აღუნიშნავთ, სასაფლაოს უსულო ლოდებს.

ოხ რა მწარეა უკანასკნელი ამოკვნესა, უკანასკნელი სიტყვა...

ამ დროს ადამიანი სწყევლის თავის გაჩენის დღესაც.

ამ დროს იგი ნატრობს ყოველივეს განადგურებას.

და სიკვდილის საშინელების მოლანდების ჟამს, შენც გივიწყებენ ჩემო სამშობლოვ.

სამშობლოვ ჩემო!..

არ ვიცი ეს სტრიქონები, ჩემი უკანასკნელი სიტყვა, ჩემი უკანასკნელი ამოკვნესა იქნება თუ არა, მაგრამ მე მსურს გემსხვერპლო ოღონდ შენ, შენ მოიპოვო თავისუფლება.

და როდესაც ბრძოლის ველად დავეცემიდე, ომის ცეცხლმა ფერფლად მაქციოს, რომ შავი ზღვიდან მონაბერმა სიოს კოლხეთისა და ივერიის ატლასის კალთაზე მიმაბნიოს, რომ იქ ვპოვო ნეტარება სამარადისო.

ჩემი სხეულის თითეული ფერფლი შვებას იგრძნობს...

ჩემი სხეულის მოჩვენება საოცნებო დღესასწაულს მიცემა თავისუფალ სამლოცველოს ბაღნარებში.

ჩემო საგამზრდელოვ!..

მე ასე ვგრძნობ, მე ასე მსურს...

და აი, მივდივარ იქ, რომ შენი სხეულის ნაკვთები ჩემი სისხლით შევღებო, ჩემი ძვლებით მოვკენჭო, ჩემი ფერფლით პრილობა დაგიამო.

აი ჩემი სიტყვა...

მიიღე შენი შვილი მსხვერპლად.

მხოლოდ გემუდარები, თუ იქ ვინმემ გიმუხთლოს, არ გაგიწიოს ნამდვილი შვილობა, არ გამოიჩინოს ქართველური გმირობა, დასწყევლო იგი მშობელი დედის მოღალატე.

დასწყევლე მშობლიური შეჩვენებით...

მე კი მივდივარ.

მივდივარ იქ საოცნებო ბრძოლისაკენ!..

აქ ნურვინ მელის, თუ, სამშობლოვ ჩემო მონად ქცეულხარ.

ჩემს დროშაზე ასე აწერია:

თავისუფლება და ან სიკვდილი!..

**ნიკ. ასათიანი.**

---

# ერ. დემ. პარ. სტუდენტებს და ახალგაზრდებს.

ამხანაგებო! სამშობლო განსაცდელშია, მის საუკეთესო კუთხეებს ისტორიული მტერი დაუფლებას უპირებს. ოტომანთა სახელმწიფო ჩვენ ხარჯზედ ზეიმობას ჰფიქრობს. საქართველოს გულს, ბათომს ხელიდან გვაცლიან, რაც ჩვენს სიკვდილს ნიშნავს. ასეთ განსაცდელის დროს სამარცხვინოა გულზე ხელებ დაკრეფილი დამშვიდებულად სამშობლოს ბედის ჩარხის ტრიალის ცქერა. ჩვენი ძმები გმირულად თხრილებში სხედან, მაგრამ მათი რიცხვი საკმაო არ არის.

ჩვენ ზნეობრივადაც და იურიდიულადაც მათი მიშველება გვევალება. დავიწყეთ დროებით მშობლები, ნათესავები, [illegible] დღესვე ქუთაისში, აქედან ჩვენი რაზმი ჩვენი ძმების დასახმარებლად წავა, [illegible] მოგვძებნეთ და დაგვეხმარეთ. ნუ მოალბობს თქვენ გულს მშობლების ცრემლები. სტუდენტებო! თქვენი ორგანიზაციის სახელით მოგმართავთ, ახალგაზრდებო, თქვენ მოვალეობას მიაგებოდეთ, ჩამოდით, მოგვეშველეთ. (მისამართი ქუთაისი „ჩვენი ქვეყნის“ რედაქცია).

ერ. დემოკ. პარ. სტუდენტთა ორგანიზაციის თავმჯდომარე:

**ბიკ. აბესაძე.**

---

# ახალი ამბავი.

## ქ უ თ ა ი ს ი.

**ოსმალეთის ულტიმატუმი.** ოსმალეთის მთავრობამ ჩვენს მთავრობას გუშინ წინ ბათომის 48 საათში დაცლა მოსთხოვა. ამის გამო 26 მარტს სეიმის ფრაქციათა წარმომადგენლების შეერთებული სასწრაფო კრება მოხდა.

◆ **ჩხენკელის დეპეშა.** როგორც თბილისელი გაზეთები გადმოგვცემენ 26 მარტს ამიერ-კავკასიის მთავრობის თავმჯდომარემ საზავო დელეგაციის თავმჯდომარის ა. ი. ჩხენკელისაგან შიფრით დაწერილი ფრიად მნიშვნელოვანი დეპეშა მიიღო. მის მიღებისთანავე შესდგა არაჩვეულებრივი შეერთებული კრება ამიერ-კავკასიის მთავრობისა, სეიმის პრეზიდიუმისა და ფრაქციების წარმომადგენლებისა. სხდომაზე გამოუტანიათ ფრიად მნიშვნელოვანი დადგენილებანი.

◆ **მასწავლებელთა კრება.** ხუთშაბათს, 29 მარტს, საღამოს ხუთ საათზე წმ. ნინოს სასწავლებლის დარბაზში დანიშნულია დასავლეთ საქართველოს საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კავშირის წევრთა კრება.

◆ **მღელვარება სოფლებში.** ქვემო იმერეთის სოფლებიდან გვატყობინებენ რომ იქ დიდი შიში და მღელვარება გამოუწვია ოსმალთა საფრთხემ. მარტის 20-დან დიდძალი ხალხი გამოემართა ჯარში ჩასაწერათ. დიდია სურვილი მოხალისეთ წასვლისა.

◆ **ქართველთა გამარჯვება.** ჩვენი ფრონტიდან სასწრაფოდ იტყობინებიან, რომ ქართველთა ლაშქარს მარტის 27 დიდი გამარჯვება მოუპოვებია. ტყვეთ წამოუყვანიათ დიდძალი ჩეტნიკი. (ოსმალოს ჯარი).

◆ **რაზმები ბათუმისკენ.** ბათუმისკენ გამუდმებით მიდიან რაზმები. ბოლოხანს ბევრი ინტელიგენტიური, ძალა წავიდა იქით.

◆ **გ. ქიქოძე** საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრი და ცნობილი მწერალი ჯარში ჩაეწერა.. ჯარში ჩაეწერა აგრეთვე დ. კოპალი.

◆ **დიდი მიტინგი.** 28 მარტს ქუთაისის ქალაქის ბაღში გაიმართა დიდი მიტინგი. ორატორებმა ხალხს მოუწოდებს, რომ ყველა საბრძოლველად წავიდეს. დილის 12 საათიდან მიტინგის დასრულებამდის დახურული იყო ყველა სავაჭროები და დაწესებულებები.

## თ ბ ი ლ ი ს ი.

— **ქართველ მხედართა დაჭერა.** მარტის 23 დამოვლეში (ახალციხის მაზრა) მაჰმადიანებმა დაიჭირეს 60 ქართველი მხედარი. ისინი ოლთისიდან ბრუნდებოდენ.

— **თბილისში** დააპატიმრეს ბოლშევიკების მეთაური სერგო ქავთარაძე.

— **მილიციელთა ჯამაგირების გადიდება** ამიერ-კავკასიის მთავრობამ დაადგინა, რომ მილიციელთა ჯამაგირები გადიდებულ იქმნას, მათი ჯამაგირები გაუთანასწორდება მფრინავი რაზმის ჯამაგირებს.

რედაქტორ-გამომცემელი

**დ. ბ. კვირკელია.**

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა, გოკიელი, ქლოვის სა ქუთაისში.